ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ01.01202511**
თარიღი:**07/09/2020**
პინი:**9884**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01201953610-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N73-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 40%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01201953610-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01202491**
თარიღი: **05/09/2020**
პინი: **9382**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01201953610-67
განცხადების თარიღი:	13/07/2020
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.18.06.019.070
მისამართი :	ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, N73
ნაკვეთის დანიშნულება :	არასასოფლო სამეურნეო
მესაკუთრეები :	შპს "სოლიკო",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ვაჟა რაზმაძე
პირადი ნომერი :	01027024323
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 43ბ, ბინა 35
განმცხადებელი :	ზაზა კალანდია
პირადი ნომერი :	62003000380
მისამართი :	სოხუმი ს. ბესლეთი
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ვაჟა რაზმაძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	

ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სასტუმრო, კომერციული, საცხოვრებელი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	11700.0
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დასაბუთების პროექტი და გასცეთ სპეციალური ზონალური შეთანხმება, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში საცხოვრებელი ფუნქციის უზრუნველმყოფი ფუნქციის 40% მ
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქუჩა 73-ში. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ემიჯნება გორგასლის ქუჩა, დასავლეთის მხრიდან ემიჯნება გორგასლის შესახვევი, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული სამშენებლო მიწის ნაკვეთები. საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 3342 კვ.მ-ს. ქ. თბილისის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე ვრცელდება შემდეგი ზონები: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ2) -543 კვ.მ; საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ2) -2393 მ2; ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) – 328 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ1) -78 კვ.მ. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით გადაწყვეტილია მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, რომელიც შედგება 2 ბლოკისგან. სასტუმროსა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისგან, 2 მიწისქვეშა სართულით. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 1 სართულზე გათვალისწინებულია კომერციული ფუნქციის განთავსება. ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში დაიშვება საცხოვრებელი ფუნქციის ფართების განთავსება არა უმეტეს 25%-ისა. ვინაიდან ჩვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტით გათვალისწინებულია: საზოგადოებრივი ფუნქციის უზრუნველმყოფი ფართები 60%; საცხოვრებელი ფუნქციის უზრუნველმყოფი ფართები 40%. საჭიროა სპეციალური შეთანხმება საცხოვრებელი ფუნქციის უზრუნველმყოფი ფართების 40%-მდე გაზრდასთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070 (ფართობი 3342კვ.მ.)) ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2), ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და მცირედით - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ის ფართობი შეადგენს საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობის არანაკლებ ¾-ს, მთელ საპროექტო არეალზე იმოქმედებს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის რეგულაციები. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში(როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის; საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5 * / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2/0.3* მინიმალური ფართობი 700 კვ.მ მინიმალური სიგანე 20 მეტრი მინიმალური სიღრმე 30 მეტრი

გადაწყვეტილების დასაბუთება :	შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან *მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.* წარმოდგენილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების მიხედვით, იგეგმება მრავალფუნქციური (სასტუმრო, კომერციული, საცხოვრებელი) შენობა–ნაგებობის მშენებლობა. საცხოვრებელი ფუნქცია მოთხოვნილია 40%-ის ოდენობით, რაც არსებულ ფუნქციურ ზონაში წარმოადგენს საგამონაკლისოდ დასაშვებ სახეობას და საკითხის განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კუთხით. იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შემდეგ ტერიტორიულ–სტრუქტურულ ზონებში: ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი გეგმარებითი კარკასი (გკ) და დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი პერიფერიული ზონა (პზ). საპროექტო ტერიტორიის გარემო ხასიათდება შერეული ფუნქციის და ინტენსივობის განაშენიანებით. გვხვდება მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. დაინტერესებაში არსებულ საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ემიჯნება გორგასალის IV შესახვევი. ნაკვეთის ჩრდილოეთით განთავსებულია გორგასალის ქუჩა, რომელთანაც ნაკვეთს ყოფს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ფუნქციური ზონის არეალში ხე-ნარგავების არსებობის გამო უნდა იქნეს შენარჩუნებული და დაცული მათთან მიმართებაში შენობის განთავსების ნორმები, ხოლო მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან. საკითხი, ასევე, განხილულ იქნა სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურში, რომლის 2020 წლის 3 სექტემბრის N01202473510 წერილის შესაბამისად, დაფიქსირდა დადებითი რეკომენდაცია დაინტერესებაში არსებულ საპროექტო არეალზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით. ვინაიდან, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, არქიტექტურული პროექტის დამუშავების დროს გასათვალისწინებელია ტერიტორიაზე მოეწყოს: საერთო სარგებლობის ეზო, ბავშვთა გასართობი სივრცე, კორპუსის მაცხოვრებელთათვის სარეკრეაციო სივრცე და სხვა.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 22 მუხლის მიხედვით: უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის გარემო განაშენიანებაში სხვა საზოგადოებრივ ფუნქციებთან ერთად ფიქსირდება მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებიც, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობის განთავსება არ შეცვლის მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათს. ამასთან, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აფიქსირებს თანხმობას დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით სამშენებლოდ განვითარების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებად მიაჩნია ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური შენობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 40%-ის განთავსების მიზნით გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. შენობა-ნაგებობის განთავსების დროს მიზანშეწონილია დაცული იქნეს მწვანე ხე-ნარგავები. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების დროს ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით (საერთო სარგებლობის ეზო, ბავშვთა გასართობი სივრცე, საერთო სარგებლობის ავტოსადგომები და სხვ.) არქიტექტურული პროექტის დამუშავების დროს უნდა იყოს

	დაცული საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–თვის კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები (პროცენტულობა, პარამეტრები).



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

სააგენტოს უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ურბანული განვითარების სამსახური

წერილის ნომერი: **202013419**
თარიღი: **13/05/2020**
პინი: **3664**

ადრესატი: ზაზა კალანდია
პირადი ნომერი: 62003000380
მისამართი: სოხუმი ს. ბესლეთი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01193473116-67
განცხადების თარიღი: 13/12/2019

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.18.06.019.070
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, N73
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს "სოლიკო"

განმცხადებელი-დამკვეთი :ზაზა კალანდია
პირადი ნომერი :62003000380
მისამართი :სოხუმი ს. ბესლეთი

ნომენკლატურა :სამსახურის პოზიცია ნაკვეთის გამოჯვნა/გაერთიანების, მისასვლელი გზისა და შეძენა ან/და იჯარის შესახებ სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთის შეძენის ან/და იჯარის შესახებ /

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურმა განიხილა თქვენი 13.12.2019 წლის №01193473116-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის პოზიციას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.019.070) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.019.070) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლოდ განვითარება შესაძლებლად მიაჩნია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-26589-20
23 / 06 2020

შპს „სოლიკოს“ დირექტორს
ბატონ ვაჟა რაზმაძეს

ბატონო ვაჟა,

თქვენი მიმდინარე წლის 12 ივნისის №01-01-26589-20 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №73-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.06.019.070) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი D=80 მმ-იანი მიწისზედა მილსადენი. ასევე, ნაკვეთის წითელი ხაზების სიახლოვეს განთავსებულია D=40; D=80 და D=100 მმ-იანი მიწისზედა გაზსადენები.

ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი მშენებლობა, თუ აღნიშნულ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შესათანხმებლად უნდა წარმოგვიდგინოთ ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული პროექტი და გენგეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი მოთხოვნები.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: 1 ფურცელი - სქემატური ნახაზი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:800
01.18.06.019.070
D= 100
D= 100
D= 80
D= 40
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში

სილქნეტი
SILKNET

№ 2920/24-8 "22" 06 2020

შპს „სოლიკოს“ დირექტორს
ბატონ ვაჟა რაზმაძეს

ქ. თბილისი
ტელ: 599787818

ბატონო ვაჟა,

თქვენი 03.06.2020 წ. #8/4433 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც გეგმავთ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას (ქ. თბილისი, გორგასლის #73 ს.კ 01.18.06.019.070), შედის სს „სილქნეტის“ შემყვანი არხი, რომელშიც ფიქსირდება ორი კაბელი.

სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა თანდართული დანართი #1-ის სრული დაცვით და შემდეგი პირობებით:

- სს „სილქნეტის“ შემყვანი არხი შენარჩუნებული ან დაზიანების შემთხვევაში აღდგენილი იქნება თქვენი ხარჯებით.

- მომავალში აუცილებლად შენარჩუნებული იქნება სს „სილქნეტის“ კაბელების გამოყენების შესაძლებლობა კომპლექსის დასაკაბელებლად.

- სამუშაოების დაწყების წინ აუცილებლად გამოძახებული იქნაება ჩვენი წარმომადგენელი ოპერატიული მართვის ნომრებზე 2950029 ან 2932740.

თან ერთვის: დანართი #1 (1 ფურცელი).

პატივისცემით,

_____ ა. ჯ

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი

ასტამურ აჩბა

ქ. თბილისი შეთანხმება # 8/4433 დანართი #1

12/ 06 2020 წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სს „სილქნეტის“ ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში გაკეთდეს საკონტროლო შურფები და ხაზოვანი ნაგებობის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა წერტილებიდან ორივე მხარეს 1-1 მეტრის პერიმეტრზე გათხრითი სამუშაოების წარმოება მოხდეს ხელით;
- სამუშაოების მსვლელობისას შენარჩუნებულ იქნას ხაზოვანი ნაგებობის სწორხაზოვნება;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდეს ხაზოვანი ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
- იმ შემთხვევაში, თუ ხაზოვანი ნაგებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სამშენებლო სამუშაოებისათვის ან/და სამშენებლო სამუშაოებისას არსებობს ამ კომუნიკაციების დაზიანების საშიშროება, მოხდეს შეთანხმება და მომზადდეს პროექტი არსებული წესით აღნიშნული კომუნიკაციების დროებით(შემდგომში პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით) ან მუდმივად გადატანის მიზნით;
- თუ სამუშაოების დაწყების მომენტში სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდება შეთანხმების გაცემის შემდგომ სს „სილქნეტის“ მიერ აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, შეჩერებულ იქნას სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოხდეს განმეორებით შეთანხმება არსებული წესით.
- იმ შემთხვევაში, თუ სს “სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის საშუალებით.

- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს სს „სილქნეტი“-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
- განმცხადებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ სს „სილქნეტი“ -ს წარმომადგენლებს მისცეს 24 საათიანი დაშვება სს “სილქნეტი“-ს კომუნიკაციებთან.

სს "სილქნეტი"
შეთანხმება
სამუშაოს დაწყებამდე წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 20, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 12-06-2020



სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 98 27 40
ტექნიკური ზედამხედველი
თარიღი 17.06.2016

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0610/588/20

Дата: 10/06/2020

შპს „სოლიკოს" დირექტორ

ბ-ნ ვაჟა რაზმაძეს

29.05.2020 წლის #0529/111/20 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთის (ს.კ.01.18.06.019.067) მიმდებარედ გადის სს „თელასის" კუთვნილი საკაბელო ელ.გადამცემი ხაზები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილებაის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ.ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

შპს "მაგთიკომი"
№ ED-20/06/19-016
19-06-2020 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს „სოლიკო“-ს დირექტორს
ბატონ ვაჟა რაზმაძეს

ბატონო ვაჟა,

თქვენი 2020 წლის 17 ივნისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში გორგასლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.18.06.019.070 გადის შპს „მაგთიკომი“-ს მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად შპს „მაგთიკომი“-ს საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაგეკისრებათ თქვენ.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო ორი დღით ადრე ეცნობოს შპს „მაგთიკომს“ (ტ 032 217 00 00; 577 208 513; 599 17 27 27.

დანართი: სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.

პატივისცემით,
მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

ნოდარ ბაღათურია

N OG20-0408860 D 25.06.2020

შპს „ სოლიკო“-ს წარმომადგენელს
ბატონ ვაჟა რაზმაძეს
მისამართი: სულხან ცინცაძის ქ. #10, ბინა #5
ტელეფონი: 599 78 78 18/557 79 23 23

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული #IN20-0407646, თარიღი 17/06/2020წ.), ქ. თბილისი, გორგასალის ქ. #73-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.18.06.019.070 მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის საკ. კოდი N01.18.06.019.070 საზღვარზე გაედინება წყალსადენის D=300 მმ-იანი ქსელი, ხოლო ნაკვეთის მიმდებარედ გორგასლის III შესახვევში გაედინება წყალსადენის D=250 მმ-იანი და წყალარინების D=300 მმ-იანი, D=500 მმ-იანი ქსელები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4.000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება

ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელებიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელებიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ-წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას“ აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია“ გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის / შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (2102); (1127)
gmurgulia@gwp.ge; jchachkhalia@gwp.ge